



ოქმი:ო37.37203561
თარიღი:21/12/2020

ოქმი №19

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

2020 წელი, 18 დეკემბერი

ქ. ოზურგეთი

13.00 საათი -13.30 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია-- საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: მუდმივმოქმედ კომისიათა თავმჯდომარეები: ლ.საჯაია, ლ.ბიგვავა, გ.კილაძე, გ.ჩაგანავა, ე.გორდელაძე; მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციათა თავმჯდომარეები: ტ.აროშიძე, დ.ჭაკნელიძე, ბ.დოლიძე, ლ.მგელაძე; მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: მ.ჩხიკვიშვილი, ქ.ვასაძე, ხ.ცერცვაძე, ვ.ჩიგოვიძე, ნ.ორაგველიძე, დ.მამალაძე, ვ.ბერიძე, ლ.ნინიძე, დ.მდინარაძე, გ.ჩავლეშვილი, მ.ზოიძე, ვ.ნიჭარაძე, ლ.კილაძე, ალ.ლლონტი, ვლ.ჩავლეშვილი, ლ.სიჭინავა.

მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს აპარატის

პასუხისმგებელი მუშაკები, მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე დ.დარჩია მიესალმა საკრებულოს წევრებს, მიაწოდა ინფორმაცია ქვორუმზე -46 წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 28 -მა, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს 28-ხმით.

საკითხის განხილვის დაწყებამდე სხდომის თავმჯდომარემ დ.დარჩიამ საკრებულოს წევრებს განუცხადა, რომ საკრებულოს სხდომა იმართება ონლაინ რეჟიმში.

დღის წესრიგი

18.“ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N32 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: პავლე ჭყონია

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 28-ხმით

თანამომხსენებელმა პ.ჭყონიამ მოკლედ ისაუბრა იმ ცვლილებებსა და დამატებებზე, რომელიც შევიდა მიმდინარე წლის ბიუჯეტში. აღნიშნა, რომ ბიუჯეტი იზრდება 525205 ლარით, მთავრობის განკარგულების შესაბამისად

ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს დაემატა 425205 ლარი, გაეროს განვითარების პროექტის გრანტის შესაბამისად დაბა გომისმთის ურბანული განვითარებისათვის გამოიყო 100 ათასი ლარი, გზების რეაბილიტაცია-შენახვის ხარჯები შემცირდა 200 ათასი ლარით და ეს თანხა დაემატა მუნიციპალურის მომსახურების ცენტრს. მოკლე მოხსენების შემდეგ პ.ჭყონიამ უპასუხა დასმულ შეკითხვებს. საკრებულოს დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ ლ.ბიგვაგამ აღნიშნა, რომ კომისიის სამუშაო ჯგუფმა განიხილა პროექტი და მას მხარს უჭერს. საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ გ.ჩაგანავამ განაცხადა, რომ კომისიამ განიხილა პროექტი და მხარს უჭერს მის განხილვა-დამტკიცებას.

საკრებულოს სხდომა დასრულდა გამოცხადდა.

სხდომის დასრულის შემდეგ გაკეთდა განცხადებები: საკრებულოს წევრმა ვ.ჩიგოგიძემ განაცხადა, რომ თეატრის წინ არსებულ მოედანს ტრადიციის შესაბამისად უნდა ეწოდოს „თეატრალური მოედანი“ და სთხოვა მუნიციპალიტეტის მერიას სათანადო დოკუმენტები წარმოადგინოს საკრებულოში. საკრებულოს წევრმა ლ.კილაძე განაცხადა, ხომ არ იგეგმება სოციალურად დაუცველებისათვის საახალწლოდ საჩუქრების დარიგება? განუმარტეს, რომ ამ მიზნით ტენდერი გამოცხადებულია. საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარემ ლ.მგელაძემ განაცხადა, რომ გარემოზე ზემოქმედების თაობაზე დროული რეაგირების მიზნით საკრებულოს რომელიმე დარგობრივ კომისიას უნდა დეველოს წერილების მომზადება და შესაბამის სამინისტროებში გაგზავნა. დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ ლ.საჯაიამ განაცხადა, რომ ამ საკითხებზე რეაგირებისათვის უმჯობესია საკრებულოსთან შეიქმნას დროებითი სამუშაო ჯგუფი, სხდომის თავმჯდომარემ დ.დარჩიამ მასვე სთხოვა წარმოადგინოს წინადადებები და მადლობა გადაუხადა პოლონეთის ფონდს საკრებულოს სხდომების ონლაინ რეჟიმში ჩატარების დაფინანსებისათვის. საკრებულოს წევრმა ლ.ნინიძემ განაცხადა, რომ სოფელ აკანის მოსახლეობის ნაწილი დარჩენილია ბუნებრივი გაზით მომარაგების გარეშე, ასეთივე მდგომარეობაა სხვა სოფლებში და ითხოვა ზომების მიღება.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

